



ს. ბ. დ. პირველი

საბავშვო, სალუბო, მავანიტოტოფიტი

ნიანა

24

გამოცემის 53-ე წელი, (№1490). ღვევები. 1976. ფასი 20 კახიკი.

მოპატიუხა ღაღაქალაქში

ბრუნავს ჩვენი დედამიწა — ენაცვლება წელი წელსა.
მე თბილისმა საახალწლოდ მოპატიუხედ გამამწესა,
მითხრა: — „ხალხი ჩემთანაა, გეკისრება სხვა მისია,
აი, ამათ დაჰპატიუებ!“ — ჩამიკუჭა ხელში სია, —

„თავი უნდა მოვუყარო, თუკი რამ მაქვს განძეული.
ციხე-კოშკი, ეკლესია, სოფელ-სოფელ გაბნეული,
მთებს მომგვრი და ნაკადულებს, თავის მოლით, თავის ტბითა.
ფრესკები არ დამიტოვო!“ — თქვა და ტუჩი გაიკვნიტა.

დააყოლა: „ტკბილად უთხარ. სტუმრები არ დამიფეთო,
თორემ ფეხებს გადაგიხმობ, გამოგწირავ, მოგიკვეთო!..
ამოვიკარ ქალამანი, გავყე სიას, ანუ გზასა,
მოვუხსენი პირი გუდას, სიტყვას — თაფლით განაზავსა.

სად ღვას ძეგლი — სასწაული, მეც იქ მიველ — მარნეულთან,
თბილისს უნდა ეს ბიჭები ახლოს ჰყავდეს ღვიძლთან, გულთან!
საყვარელი — გზად ყვარელი — მოვიხელთე, მოვიძიე,
წინანდალის ბალთან ერთად ძეგლი გრემიც მოვიწვიე.

გადავძახე მალლით შატის (შეჰფენოდა ნისლი დილის) —
„ცად არწივო რომ არ დარჩეს, უსიკვდილოდ გელით თბილისს!“
მივეახლე სვეტიცხოველს, მოვუქნიე ორთავ ყბითა;
„სატახტო გთხოვს საახალწლოდ მეწვიეო მონაგრიო!“

წამოვალაღე უფლისციხე, ენაც გზა-გზა გავგრიხეო:
„აბა, ქვემოთ, თბილისისკენ, გორისციხეზე, ბერციხეო!“
იმერეთში გავიმინდვრე (რიკოთმა არ ამიქშია),
გურია მთლად შევაჯერე, ნიშიც არსად გამიშვია,

ოდიშს მიველ — ვიზუგდიდე, დავილოცე, როგორც წესი,
მუზეუმი დაუბატიე, რა თქმა უნდა, — ენგურპესიც!
დავიარე ცხინვალ-ონი-გაგრა-სოხუმ-ანაკლია,
სიას ვზევრავ! მგონი მოვრჩი! მგონი, არცინ არ მაკლია!...

ჩამობრძანდნენ!.. „ივერია“ ეგებება სვანურ კოშკებს,
შავ ზღვას მშვიდი, თბილისური „ზღვის“ ტალღები გაალოკეს.
პლენაროვზე შეიცხადეს — სხვაგან რატომ მიგყავთო, დე —
ნანგრევები, ძველისძველი, აქ მოზიდეს იყალთოდან.

ჩამომწკრივდნენ ცალფად რიგში, — ერის შუბლი გამობრწყინდა,
კუმურდო და ალავერდი, გელათი და ნიკორწმინდა!..
ორთაქალის ქვემოთ, მტკვართან, — რაკი ნახეს რა განძია, —
ჩაიჩოჩეს სახლებმა და მოათავსეს ძლივს ვარძია.

გადიჭედა რუსთაველი გუმბათებით, თაღებითა,
დევის ხერელით, ჩაის ბუჩქით, ციტრუსების ბაღებითა...
სტალაქტიტა-სტალამიტის დაიბერტყა უმაღ კალთა,
როცა მღვიმე ათონისა დასკუპეს ზოოპარკთან.

ჩაწერა და დავანება ყველას აქვე, ცენტრში უნდა,
იქით ჯვარი გაილანდა, აქეთ უშბა მოდიდგულდა.
ვის რას ჰკითხავ, რადა ჰკითხავ — ზედა სცხია, რაცა ჰქვია,
ვინ დასთვლიდა, საახალწლოდ რაც ღიმილი დაიფრქვია...

P. S.

ამ ღიმილში თავკომბალა ცრემლს ვაგდებ და მეპატიოს —
ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ თბილისში საქართველო ჩაეტიოს!

ზაზა კაციაშვილი



— რა არის ეს სიმდიდრე! მეზობლები მოწვივებით მხვდებიან!



განახლებული ღაღმა ტია-ტიასი.
ასრულშენ კომბინატორები

კახი კაცს რაღაც პატივს რომ სცემს, ეს რატომ უნდა იყოს დევნისა და დაცინვის საგანი?! ქრთამით, საცოდავი ძღვენიო! რა არ მოუგონეს სახელად საჩუქარს! ამასაც არ დასჯერდნენ და ახლა თურმე თითების ანაბეჭდებსაც ეძებენ ფულზე. ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა ვიფიქრე, აი, რა მოვიფიქრე: თითების ანაბეჭდი რომ არ დარჩეს ზედ და რაიმე უხერხულობაში რომ არ ჩავარდეთ, გთავაზობთ შემოდგეული ფულის ალბის ახალ ხერხს. ამისათვის საჭიროა, რიგიანად ცეკვავდეთ „ბაღდადურს“, ყოველ შემთხვევაში, უნდა შეგეძლოთ, ასმანეთიანების დასტა პირით აიღოთ ისე, როგორც პროფესიონალი მოცეკვავე იღებს ბაღდადს „ბაღდადურის“ დროს. ფულის დასტა ასევე პირით მიგაქვთ სიდდერთან და, ამის შემდეგ, იმან თვითონ იცის, როგორ მოუაროს ფულსაც და იმათაც, ვისაც საქმე დალევია და სხვის საქმეში ერეება. რაკი ფულს ხელით აღარ შეეხებით, ცნობილი ანდაზაც უნდა გადაკეთდეს შემდეგნაირად: „ფული პირის ჭუჭყია!“

ჯემალ ლოლუას ვთხოვ, თვალსაჩინოებისათვის გარკვევით დახატოს „ბაღდადური“. დადგეული ჩემს მიერ.

ტია-ტია

გობრძანდა 1977 წელი და მკვლევარ ხელით ნუგბარი მოგვართა, მოგვართა და დავალოცა: „ასე ტყილად დამიბერდი!“ შევხვდით ერთ-მანეთს და „ასე ტყილად დამიბერდი“-სთან ერთად კანფეტები გავცვალეთ. რა იქნება, რომ თვითონ კანფეტს ან ნამცხვარს ღავარქვით სახელი: „ასე ტყილად დამიბერდი“. სწორედ ამ კითხვით მიმართა ჩვენმა კორესპონდენტმა ახალი წლის წინა დღეებში „თბილისური“ რის“ გაერთიანების დირექტორს ან. მარინა ილაშვილს.

მ. ილაშვილი: ასე ტყილად დამიბერდი? ცოტა არ იყოს, პრეტენზიულია, ვთქვათ, თუნდაც ამ დასახელების პროდუქციის ერთი ეგზემპლარი გამოვრია უხარისხო, ან დაგვიანებული რეალიზაციის, თუ ცუდად შენახვის გამო გემო დაეარგა, მაშინ ხომ დალოცვის მაგივრად წყევლა გამოვა?

კორესპონდენტი: ქალბატონო მარინა, 1977 წელი საიუბილეო წელია, რა პირის ჩასატყდარუნებელით ასიათქვენს თქვენი წარმოება მომხმარებელს?

მ. ილაშვილი: ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცი წლისთავს ხელ-დამშვენებული შეხვედრიან ჩვენი მცოდნე-რები. 1976 წელს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროში შედგა საკონდიტრო ნაწარმის ცენტრალური სადგურსტაციო კომისიის სხდომა. ორიგინალური გემოსათვის უმაღლესი შეფასება მიიღო ჩვენმა კანფეტებმა, რომლის ძირითად ნედლეულად გამოყენებულ იქნა ჩვენს რესპუბლიკაში არსებული სხვადასხვა ხილის მუხარებები. სხვათა შორის, გაზეთ „ტრუდის“ 18 სექტემბრის ნომერში ამის შესახებ დაიწერა კიდევ, სადგურსტაციო კომისიის წევრები ზომიერ მეტად გაერთნენ და ნამცეცით არ ზატოვეს მეორე დღისათვის. კომისიის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა — თქვენს ნაწარმს ზღაპრული გემო აქვს და ამიტომ დასახელებაც თქვენი ზღაპრებიდან მიეცით.

კორესპონდენტი: თქვენმა საუბარმა ერთი უსიამოვნო კითხვა წარმოშვა, ეს ეხება არა დასახელებას, არამედ გაფორმებას, ხშირად ისე ულამაზო ეტიკეტებშია გახვეული თქვენი პროდუქცია, რომ კაცს მაღა წაუხდება.

მ. ილაშვილი: სამწუხაროდ, ვერ შეგეძლება.

კორესპონდენტი: მიზეზი?

მ. ილაშვილი: მიზეზი ის არის, რომ ჩვენ რესპუბლიკაში არ გავაჩნია ბაზა, სადაც დამზადდება ეტიკეტები.

კორესპონდენტი: რას ფიქრობთ მომავალში?

მ. ილაშვილი: ამის შესახებ თბილისის სამხატვრო აკადემიაშიც ფიქრობენ და იმედია სასიკეთოდ გადაწყდება საქმე. მალე გამოვა კანფეტის ახალი ნაკრებები, რომლის ყუთებსაც დამშვენებს საქართველოს ისტორიული ძეგლებისა და კურორტების ხელები, ასე რომ ჩვენს პროდუქციას შემეცნებითი ელემენტიც დაემატება.

კორესპონდენტი: არის შემთხვევები, როდესაც გახსენები ქალბატონი ეწეება პრო-

„ასე ტყილად დამიბერდი!“

დუქციას, ქალბატონი ქამა კი არცთუ ისე დიდი სიამოვნებას.

მ. ილაშვილი: როდესაც კემრიელი ნამზადია, ამბობენ ხოლმე, ისეთია, თითებს ჩაიკვნეტო, მაგრამ ჭერჭერობით არავის უთქვამს — იეთია. ქალბატონი ჩაიკვნეტო, ასე რომ, ჩვენ არც აქ ვიმართლებთ თავს. გაერთიანების ფილიალში მშირია შემთხვევა, განსაკუთრებით წამთრის პერიოდში ორთქლის წნევის ცვალებადობის, რაც გავლენას ახდენს ტექნოლოგიურ რეჟიმზე. საქმე ისაა, რომ ფილიალში ორთქლს ღებულობს მაქარონის ჯაბრიკის საქვაბიდან. თუმცა კარგი მოშაობით ამ ნაკლის აცილებაც შეიძლება.

კორესპონდენტი: რას იტყვით მანქანა-დანადგარების შესახებ?

მ. ილაშვილი: ბევრი მათგანი მოძველებულია, ან, თუ გენბავთ, მოხერხებულია, ამიტომ მანქანის ნაკლის გამოსწორება ისევ აღამიანება უნდა იყოს. მიზეზების გამო-სახვას ისევ გამოსავლის გამოძახება ჯობია.

კორესპონდენტი: მთავარი მაინც პროდუქციის ხარისხია. როგორ არის ამ მხრივ საქმე?

მ. ილაშვილი: ამაზე მოკლედ მოგახსენებთ: გაერთიანების მიერ გამოშვებულ 136 დასახელების პროდუქციის გაყილი აქვს ატესტაცია, ხოლო მათ შორის 16-ს მიენიჭა ხარისხის ნიშანი.

კორესპონდენტი: ეს, რა თქმა უნდა, საუკეთესო შედეგია. რით მიადწია თქვენმა კოლექტივმა ასეთ წარმატებას?

მ. ილაშვილი: ახალს ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ერთს კი მოგახსენებთ დაბეჭითებით, თუ სოციალისტური მეჭობება კარგად იქნება ორგანიზებული, თუ ფორმალში აღმოიფხვრება, წარმატება თავისთავად მოვა. ჩვენთან შექმნილია შტაბი, რომელიც ავლენს სოცმეჭობებაში გამარჯვებულს, ბრიგადაბრიგადს ეჯიბრება, საამქრო — საამქროს. შტაბმა გამარჯვებულის გამოსავლინებლად ხუთბალიანი სისტემა შემოიღო, ხუთიანი იმსახურებს ის, ვინც ყველა საწარმოო მაჩვენებლებით მოწინაა. წარმატების თვალსაჩინო კატალიზატორად მოგვევლინა რუსთაველთა ინიციატივა.

გადაჭარბებით შესრულდა რეალიზაციის გეგმა, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 3,3 პროცენტით, მიღებულია ზეგვერდითი მოგება 270 ათას მანეთამდე. ასე რომ, ჩვენმა რუსთაველმა მეგობრებმა ფოლადთან ერთად კანფეტებიც გამოადნეს.

კორესპონდენტი: როგორც თქვით, თქვენ საკმაოდ დიდი ასორტიმენტი გქონიათ, ხომ არ აპირებთ კიდევ უფრო გაზარდოთ იგი?

მ. ილაშვილი: პირიქით, ვაპირებთ შემცირებთ. აბა, რა აზრი აქვს გამოშვება ერთი და იგივე ფასის, ერთი და იგივე რეცეპტურის და სხვადასხვა დასახელების პროდუქტის? ეს ხომ იმავე ჰგავს, სასადილოში ბიტკი, კატლენი და შნიცელი რომ არის მენიუში.

კორესპონდენტი: დადგა თუ არა რაიმე ახალი პრობლემა თქვენს გაერთიანებაში?

მ. ილაშვილი: სოციალიზმამ ჩვენს გაერთიანებასაც მოუყავნა და კარა გავლენა, დაეწყოთ იმის შესწავლა, თუ სად და როგორ საღდება ჩვენი პროდუქცია, როგორ ღებულობს ამა თუ იმ ასორტიმენტს მომხმარებელი, რა პრეტენზიები აქვთ სავაჭრო ობიექტების მუშაკებს. მოვიწვიეთ თბილისის რაიონებში მდებარე სავაჭრო ობიექტების გამყიდველები წარმოებაში და ვეაუბრეთ. ბევრი საინტერესო ინფორმაცია მივიღეთ. ძალუენებურად ისევ ეტიკეტების საკითხს მინდა დავებრუნდე. გაიკვია, რომ ერთ-ერთი დასახელების კანფეტს, როდესაც ფინურ ეტიკეტში იყო გახვეული, პირდაპირ იტაცებდნენ. გავახვიეთ ჩვენს ეტიკეტში და ძნელად საღდება. ასე რომ, თვალი მარტო კი არ სვამს და კი არ ქამს, თვალი თურმე ყიდულობს კიდევ.

კორესპონდენტი: ახლა კი მათ შესახებ, ვინც უშუალოდ ქმნის პროდუქციას. რას იტყვით თქვენი კოლექტივის შესახებ?

მ. ილაშვილი: თუკი რაიმე მიღწევა აქვს გაერთიანებას, მათი დამსახურებაა, ბევრი მათგანი სანიმუშოა შრომაშიც და პირად ცხოვრებაშიც, წარმოება მათი მეორე ოჯახია.


აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გაერთიანებაში 90 პროცენტამდე ქალია.

კორესპონდენტი: თქვენ ბრძანეთ, რომ წარმოება მეორე ოჯახია და რომ გაერთიანებაში 90 პროცენტი ქალია. ბუნებრივია, იქნებთან გასათხოვრებიც. თქვენ, როგორც ამ ოჯახის უფროსს. „სიღებრობა“ გეკუთვნით, როგორ უყურებთ ამას?

მ. ილაშვილი: ძალიან რელიგურად, რა თქმა უნდა, დაინტერესებულ ვარ ჩემი გოგონების მომავლით. მათი ბედ-იბოლით. აი, თუნდაც ზეინაბ მაისურაძე, იგი პარტიის XXV ყრილობის დელეგატია, კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირია, შრომის დიდების ორდენის კავალერია, ვალდებულება აქვს აღებულო ოქტომბრის რევოლუციის სამოცი წლისთავისათვის შეასრულოს ხუთწლეულის ორი წლის გეგმა, ამის გარდა, მისმა ბრიგადამ აიღო ვალდებულება ხუთწლეულის ბოლომდე გამოშვან პროდუქცია მხოლოდ ხარისხის ნიშნით და უმკაცრესად დაიცვან სახელმწიფო და შრომითი დისციპლინა. ასეთი სამართაბლო, მე გგონი, ბევრს არ ეყოლება. ასე რომ, როგორც „სიღებროს“, პრეტენზია მაქვს და თუ ღირსეული სასიძო არ იქნება, ტყუილად არ მელაპარაკონ ამის შესახებ.

კორესპონდენტი: და ბოლოს, ტრადიციული კითხვა — თქვენი სახალწლო სურვილები?

მ. ილაშვილი: რა თქმა უნდა, ყველა ჩვენს მშრომელს არ მოკლებოდა „ჩიტის რძე“ და „პუშკინის ზღაპრები“ ტყილი სიბერე!



ნახ. მ. აბაშიძისა

შეჯავი, სიზრავი

უჩვეულო აღმავლობით ჩაატარეს გასული წელი ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიებმა. მათ გვერდით გათვალისწინებული 150 ფინჯნის ნაცვლად დალიეს 205 ფინჯანი არომატული ჩაი, რაც 108 ფინჯნით მეტია წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით.

უხვი მოსავალი მოიწიეს გასულ წელს ჩვენი რესპუბლიკის სინოპტიკოსებმა. გეგმით გათვალისწინებული 8 მილიონ 400 ათასი ტონის ნაცვლად მოიწიეს და სამშობლოს ჩააბარეს 800 მილიარდ 700 ათასი ტონა წვიმის წყალი და თოვლი.

ნომადი ბართაია

სამსახურში შემოსული დირექტორის მაკროსტრუქტურული დაკვირვება ლიფტიორმა დაიწყო: მისმა თვალებმა შეარღვია დირექტორის ერთი მტკავლით ჩახეული შარვალი. დააბრა კიდეც თქმა „შარვალი გაქვთ...“, მაგრამ მისანმა უკარნახა: „რა შენი საქმეა? ამ ახალი წლის მიჯნაზე რომ ეწყინოს, მერე სად მიდიხარ?!“

ლიფტიორის დაკვირვების „კონვეიერიდან“ დირექტორი დამლაგებლის „სამქრომ“ ჩაიბარა:

„უი, დედა! ეს რის მოწმე ვხდები! როგორ ვუთხრა, შარვალი გაქვს... არა, ამ ახალი წლის მიჯნაზე, რატომ უნდა მოვიშალო ნერვები?! ისევ სხვამ შებედოს და გაიმწაროს ახალი წელი“.

დირექტორი ახლა კურიერმა გოგონამ „მიიღო“. „დედა! ბატონ ნიაზოვიჩს შარვალი აქვს ჩარღვეული!“ და ეს იდუმალი თქმა კურიერმა სხვა დაწესებულებაში წაიღო, რადგანაც თვითონაც არ უნდოდა ამ ახალი წლის მიჯნაზე განწყობილება გაეფუჭებინა.

დირექტორი კი სწრაფი ნაბიჯით მიიწვედა კაბინეტისაკენ, შორიახლო კაღრების ინსპექტორი ლაპარაკ-ლაპარაკით მისდევდა:

— ახალი წლიდან სამ საშტატო ერთეულს გვიმატებენ! — ანაზღად კაღრების ინსპექტორის მეტყველება დაარღვია დირექტორის ჩარღვეულმა შარვალმა.

„მეჩვენება? არა! ნამდვილად გარღვეული აქვს! კი, კი, უცხოური საცვალი გამოუჩნდა! ვეტყვი, არა, ჩემამდე რამ-



დენმა დაინახა, რალა მე გავუფუჭო ხასიათი ამ ახალი წლის მიჯნაზე?!“

კაღრების ინსპექტორმა მეტყველება აღიდგინა:

— შტატებს კი გიმატებთო, მაგრამ ფინანსებში გარღვევა გაქვთო!

— რაო?! სად არის გარღვევა! სად? — აბუხუნდა დირექტორი.

— არა, ბოდიში! გარღვევა კი არა, ცოტათი გადახარჯვა გაქვთო!

— აბა, აბა, დაფიქრდით! ამ ახალი წლის მიჯნაზე გარღვევა არ გამაგონოთ!

დირექტორს ბუღალტერიც აედევნა, მანაც შეამჩნია მისი ჩარღვეული შარვალი. მერე თავისი შარვალი მოსინჯა, ცოტათი გარღვეოდა, მერე თავის თავთან დაიწყო უჩუმაბი საუბარი. „ვეტყვი!.. მერე რომ მობრუნდეს და მითხრას: მე ასე მინდაო, შენ, შენს შარვალს მიხედო... მაინცდამაინც მე რატომ უნდა გავუფუჭო ხასიათი ამ ახალი წლის მიჯნაზე?!“

ეკონომისტიც წუხდა გარღვეულ შარ-

ვალზე. გამოსავალიც კი იპოვა: „ანონიმურ წერილს დავუწერ: მიხედეთ თქვენს გარღვეულ შარვალს!“ შემდეგ თავი შეიკავა, წინდახედულობა გამოიჩინა, „ერთიც ვნახოთ, შეამოწმონ ხელწერა, მერე ხომ ყველა ანონიმური წერილი მე დამბრალდება!! არა, რატომ უნდა ჩამშხამდეს ახალი წელი?!“

შარვალგარღვეული დირექტორი ტრესტში წავიდა. იქ ყველა თავის ახალთახალ შარვალზე იყურებოდა, სად ეცალათ მისი შარვლისათვის. მხოლოდ ტრესტის მმართველმა შეამჩნია მისი გარღვეული შარვალი, მაგრამ არ უთხრა იმ მიზეზით, რომ ამ საქმეს ხელქვეითებს დავავალებო!

დირექტორი სახლში დაბრუნდა. ცოლმა რომ შეხედა მის გარღვეულ შარვალს, ხმა არ გასცა, „ახლა რომ ვუთხრა, გარღვეული გაქვს-მეთქი, მე დამიწყებს ჩხუბს, ასე დავდიოდიო?!“

ნახალწლევს ყველა თანამშრომელი მითქმა-მოთქმაში იყო:


— დირექტორი ტრესტის მმართველთან გარღვეული შარვლით ყოფილა! ისე, კაცმა რომ თქვას, განა შეიძლება ასე ახალ წელს შეხვდეს კაცი?! —:—:—:—

იუმორისტმა ზემოთ დაწერილი რედაქტორს წაუკითხა. რედაქტორმა ჩაეცინა და გულახდილად უთხრა:

— ფაბულა გაქვთ დარღვეული!

ა. ადვიშვილი

ნახ. ნ. ქელესაშვილისა



უსიტყვოდ

ნახ. ი. ადინიშვილისა



უსიტყვოდ

ნახ. პ. დვინაძისა



უსიტყვოდ

ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელები ეფექტიანად არ იბრძვიან ლითონების გამოყენების კოეფიციენტის ამაღლებისათვის. ამის შედეგად არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა შავი ლითონის მნიშვნელოვანი რაოდენობა იკარგება, ჯართად და ბურბულშელად იქცევა.



— თქვენს მიერ დაკვეთილი დეტალების მაგიერ, ალბათ, ჩირილაკების გამოშვება მოგვიწევს სახალწლოდ...

ნიანგის ლოკავორი

სამტრედიოში ტაქსის მძღოლს ხურდა ფული მიეგვი თუ არა. წამსვე თვალები დააბრიალა და ხმა აიმაღლა: „ვინაა შენი ხურდის მათხოვარი?!“ შეშინებულმა ხურდა უკან დაიბრუნე და ქალადის ფული გავუწოდე. „ასეა, ბიძია! ტაქსში ჩაჯდომა რომ ისტავლეთ, ფარაც უნდა გადებიხლოთ!“ — თქვა, მან და ქალადის ფული ღრმა ჯიბეში ჩაუდგახა. ამის შემდეგ ხურდა ფულით ავტობუსში შევიდით. ტაქსით კი საახალწლო დღეებში ვმგზავრობ, იქნება, დამეხდეს!

ასე მარტო სამტრედიოში ხდება?!

* * *

ჩვენს სამტრედიოელები ვართ: ძერეინსკისა და სააკაძის ქუჩების მცხოვრებნი მოგმართავენ თხოვნით, გაიზიაროთ ჩვენი გაჭირვება და დაგვეხმაროთ არხის გახსნაში, რომელიც სამტრედიის უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ დაიხურა. აქ ანტისანიტარიისა და კოლონიზაციის საკოლმეურნეო ბაზარს შეუტევენ, ხან — გარშემო მაცხოვრებლებს.

საახალწლოდ მაინც ველოდებით დახურული არხის გახსნას.

* * *

საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთში წყალს ვნაყავთ უწყლობით გამწარებულნი. უახგმა წყლის ონკანები შეჭამა, უწყლობამ კი — ჩვენი კიდევ კარგი, მეზობლობა რომ კარგი ვიცით და ერთი კიდან ყველა ვსარგებლობთ, თორემ რა გვემეღებოდა?! სანამდე გვიყოფა ერთი კის წყალი ამხელა სოფელს?! იძულებულნი ვართ, ახალი წლიდან ღვინის სმაზე გადავიდეთ!

* * *

თბილისელი პატარა ბიჭები, ფეხის აღმასთან ერთად, ბურთზე ფეხის გაკვრას ესწავლობთ, მაგრამ ეზოში ვერ ვახერხებთ ამას მეზობლების შიშით. ზოგი ლოჯიას წინ გაშენებული ბაღის კიდიდან გვიყვარის, აქ ბურთი არ ჩამოვადლოთ, ზოგი ფანჯრის მიღმიდან თითს გვიქნევს, შუშა არ გამიტეხოთ!

რა ვქნათ, სანამ გუნდში ჩავერიცხებოდეთ, ბურთის თამაში გვინდა!

თბილისში ზესტაფონის ქუჩაა. ამ ქუჩას თანამედროვე კეთილმოწყობისა არაფერი გააჩნია. წვიმის დროს მანქანა ტალახში ეფლობა, ადამიანები კედელ-კედელ დადიან. ტალახი აქაურობის განუყოფელი ნაწილია. იგი საახალწლო გოზინაყვივით „მიმზიდველია“. თბილისში განამარტო ზესტაფონის ქუჩაა ასეთი?

ალბათ, საახალწლოდ თუ არა, 1977 წელს მაინც მოესწრება ყველა ასეთი ქუჩის კეთილმოწყობა!

საახალწლო სანთლები

საახალწლო-სალადობო სიზმრებს გეტყვით თავიდან, თუ სიტყვა არ გამიწყვიტეთ უსარგებლო დავითა: ავტობუსში ახალგაზრდამ ქალს დაუთმო ადგილი; ჭაბუკს სთხოვეს მკაში შველა, თქვა: არისო ადგილი!

კაცი მოკვდა და ქელეხში არ დამთვრალა არაგინ; სამ დღეს იყო კარი ღია, არ შესულა მპარავი; ბაღში იჯდა ქალიშვილი, წიგნის კითხვით გართული; აბრა ვნახე, დაწერილი გამართული ქართულით;

„დინამოს“ არ წაუგია ერთი მატრიც სეზონში; ერთი დავაც არ ყოფილა ხალხით სავსე ეზოში; კაცმა მოყვასს აწყენინა (სხვები ბოღმას ფარავდნენ) და სულაც არ მიჰყოლია ჯავრი კუბოს კარამდე;

ტაქსის მძღოლმა არ აიღო არც ზედმეტი შაური; ლაზლანდარამ აღიარა მცირე დანაშაული; ქორვაჭარმა საპარსები თავის ფასში გაყიდა; ბავშვმა ჩვენი ფეხსაცმელი სამ თვეშიც ვერ გაცვითა;

კარგი სწავლით დააფასა შვილმა მშობლის ამაცი; გამოსწორდა, დაამშვენა შლეგმა დედაქალაქი; კრიტიკანმა-პასკვილანტმა ვერაგობა იხანა და ხალხის ხმას საკუთარი შეუერთა იმანაც;

ვიფიქრე, რომ ბოროტება დაფარულა ქაცვითა! ვლოცავ ასეთ სასწაულებს! იყოს კაცი კაცითა! თუ ურიცხვი სასწაული სინამდვილედ აქცია, დაგვეხმაროს აქაც ყველა, ვინც კაცური კაცია!..

და თუ ვინმე სკეპტიკოსი მხოლოდ ბრავებს უყურებს, განახლების სიოს ქროლა ანთებს ახალ შუქურებს! შუქურებსაც შენიშნავდეს შავი ღრუბლის მკენტავი! მოხდეს ერთი ამისთანა სასწაულიც, ნეტავი!


აკაკი გელმანი

საგადაცემო კოლეგია: ზ. ბოლშაკოვ (მთ. რედ. მოადგილე) ზ. აბაშიძე, გ. ლომაძე, ნ. გავაშვილი (მხატვ. რედ.), გ. ნიჟარაძე, გ. სიხარულიძე (პ.გ. მდივანი), გ. ფირცხალაშვილი, თ. ზამთარი, რუსთაველის პრესბიურო № 42, © საპრესბიუროს ავტორები: მ. აბაშიძე, ა. აღმაშენებელი, მ. დიმიტრი, გ. ლომიძე, გ. ფირცხალაშვილი, ნ. ცხელიძე, ს. ზვინაძე, ე. ყიფიანი

საგადაცემო კოლეგია: ზ. ბოლშაკოვ (მთ. რედ. მოადგილე) ზ. აბაშიძე, გ. ლომაძე, ნ. გავაშვილი (მხატვ. რედ.), გ. ნიჟარაძე, გ. სიხარულიძე (პ.გ. მდივანი), გ. ფირცხალაშვილი, თ. ზამთარი, რუსთაველის პრესბიურო № 42, © საპრესბიუროს ავტორები: მ. აბაშიძე, ა. აღმაშენებელი, მ. დიმიტრი, გ. ლომიძე, გ. ფირცხალაშვილი, ნ. ცხელიძე, ს. ზვინაძე, ე. ყიფიანი

საგადაცემო კოლეგია: ზ. ბოლშაკოვ (მთ. რედ. მოადგილე) ზ. აბაშიძე, გ. ლომაძე, ნ. გავაშვილი (მხატვ. რედ.), გ. ნიჟარაძე, გ. სიხარულიძე (პ.გ. მდივანი), გ. ფირცხალაშვილი, თ. ზამთარი, რუსთაველის პრესბიურო № 42, © საპრესბიუროს ავტორები: მ. აბაშიძე, ა. აღმაშენებელი, მ. დიმიტრი, გ. ლომიძე, გ. ფირცხალაშვილი, ნ. ცხელიძე, ს. ზვინაძე, ე. ყიფიანი

მთავარი რედაქტორი
ზურაბ აბაშიძე



7-1976


რა შემოქმედებას ახდენენ სახელმწიფოთა მოლაპარაკებანი საერთაშორისო დამატულობის შენელებასა და განიარაღებაზე?

შვეიცარიულმა გაზეთმა „ტრიბუნ დე ჟენევა“ ამ შეკითხვას მეტად ყურადსაღები პასუხი გასცა. გაზეთმა მოათავსა უახლესი მოდელის ტანკების მინიატურული სათამაშოების სურათები და იქვე განაცხადა, რომ მსგავს სათამაშოებზე ფასებმა 23 პროცენტით დაიკლო. გაზეთი იმასაც იუწყება, რომ ამ სათამაშოების ფირმები იძულებულნი შეიქმნენ „განიარაღონ“ თავიანთი მაღაზიები, რადგან ნორჩ კლიენტურას აღარ აინტერესებს „ომობა“. მოზარდი თაობა კი, ამტკიცებს გაზეთი, უფრო „სამშვიდობო“ დანიშნულების სათამაშოებს ეტანება.

ნამდვილად გულთან ახლო მისატანი ფაქტია!


ბელევიზია და გავრცევა

უზარმაზარი მზა ინფორმაცია ხელს უშლის თანდაყოლილი ნიჭის განვითარებას! — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ იაპონიის სკოლების მესვეურნი. სპეციალურად დაკითხეს ბავშვები. გამოიკვია, რომ კომიკები, დეტექტივები და კოვბოური ფილმები ხელს უშლიან მოსწავლეებს ყურადღების კონცენტრირებაში აწავლავს. ქალაქელ ბავშვთა 38, ხოლო სოფლელი ბავშვების 47 პროცენტი ტელევიზორის „წყალობით“. თითქმის არ კითხულობს წიგნებს.



გაფრთხილება...

ამერიკის ქალაქ ნიუ-არკის რკინიგზის ერთ-ერთ გადასასვლელზე დგას ფარი, დამშვენებული ასეთი წარწერით: „აქ ბევრზე გადარჩა ჯეიმს უოტკინსონის სიცოცხლე. მან გააჩერა თავისი ავტომანქანა და დაელოდა, სანამ მატარებელი ჩაივლიდა“.



ინგლისის პოლიციის შეცდომა

ინგლისელი დიასახლისი ჯოან კოუზენსი, — ეს გვრიტივით წყნარი ქალი, — სამონადლე გაცოცხდა, როდესაც პოლიციის წარმომადგენელი ერთი ამბით შეიჭრნენ მის აპარტამენტში.

— სად არის იან ვან-დერ-მეერის „გიტარისტი“? — ერთმანდ იკითხა რამდენიმე დეტექტივი.

პოლიციის აგენტები იმითმ გაყვიროდნენ რამდენიმე ხმაში, რომ ეს ფერწერული შედეგო რამდენიმე მილიონ ფუნტ სტერლინგადაა შეფასებული. ნახატი მოიპარეს ლონდონის ერთ-ერთი მუზეუმიდან. თანაცაა ჩატარდა იმ „უტყუარი“ სიგნალების შესაბამისად, რომელიც მიიღო სკოტლანდ იარდმა.

— სამზარეულოშია... — უბასუხა დაბნეულმა მისის ჯოან კოუზენსმა.

„გიტარისტი“ მართლაც სამზარეულოს კედელზე აღმოჩნდა. გაცილებლმა სპეციალისტებმა აღნიშნეს რომ ეს ბრწყინვალედ შესრულებული ასლი იყო.

— თუ გნებავთ, ერთს კიდევ დავიხატავთ! — კეთილი ღიმილით უთხრა პირდაპირულ პოლიციელებს ჯოან კოუზენსმა.

906

76

31/11